





30

# ԽՍՀԱՅԱ ԾԱՀՈՑԱԼՈՅ

1762



1762

Ծոցն 1.

921  
3-76-5.

---

ԱՇԽԱՏՈՎՈՅ

Խրամեա Ֆ. Ֆ. Առաքոնեցիս || տիպ. Տ. Մ. Պոտիանցա.

1905

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го Июня 1905 г.



ଶୁଭେତ୍ର ପାଞ୍ଚମୀଜ୍ଞାନୀ

# გარიბალდის ცხოვრება.



ორს ჩეენგან დასაელეთით არის დიდი ნახევარ-კუნძული, რომელსაც იტალია ჰქვია. იტალიის მკვიდრ მცხოვრებლებს შეადგენენ იტალიელები. იტალიის სხვა და სხვა კუთხეში ისინი სხვა-და-სხვა სახელს ატარებენ, მაგრამ ყველა ერთი ჩამომავლობის არის, ისე როგორც იმერლები, ქართლელები, კახელები, რაჭელები, სეანები, მეგრელები, გურულები, აჭარლები და სხვანი ერთი მოდგმის არიან და ერთ ერს, ქართველებს, შეადგენენ.

ახლა მთელი იტალია ერთ დიდ, ძლიერ მდიდარ და განათლებულ სახელმწიფოს წარმოადგენს, მაგრამ ამგვარ მდგომარეობაში არ იყო ის ამ ასიოდე წლის წინეთ მეთვრამეტე საუკუნეში. მაშინ ყველა მის მნახველს თვალზედ ცრებლები მოუკიდოდა, მისი ცოდვით დაიწოდა: იტალიის მთელი ჩრდილო ნაწილი სხვა სახე ღმწიფოს აესტრიის ხელში იყო. გაბატონებული უცხო ერი ყოველგვარ ლონის-ძიგბას ხმარობდა, რომ იტალიის შეილებისათვის თავ-

შოკვარეობა, მამულისა და თავისუფლების სურვილი ჩაეხშო, გადაექცია ისინი ნამდეილ მონებათ, რომ მათ უბედურებაზედ თავისი ბედნიერება აეგო და და-ემკეიდრებინა.

გლეხერკაცობა გაღატაკებული იყო, მთელი მისი არსება უმეცრების წყედიაუით იყო მოცული. აღა-რავითარი აღამიანური თავმოკვარეობა აღარა ქონ-და, დარწმუნებული იყო, რომ მისი ხეედრი მუდამ მონობა, მუდამ სიღატაკე, მუდამ სხეისგან ქელვა და თქერა იყო. თავაუ აზნაურობაც ძალიან დაცემული იყო, არამც თუ თავისი და თავის მოძმეების ბედის ვაუმჯობესობას არ ცდილობდა, არამც თვითონვე ხელს უწყობდა უცხო მთავრობას მამულის დამხო-ბაში. იტალიის პირეოდენი ნაწილი იყო თავისუ-ფალი, მაგრამ ეს ნაწილიც რამდენიმე სამეფოებათ და სამთავროებათ იყო დაყოფილი. სარდინიაში სხეა მეფობდა, ნეპოლინში სხეა, რომ'ში პაპი ბატონობდა და სხე. იმის მაგიერათ, რომ ერთმანეთისათვის ძმუ-რათ ხელი გაეწევდინათ, შებმოდენ მტერს, რომელიც მათს დედამიწის ჰურგიდამ ახოცეას ცდილობდა, ერთ-მანეთის სისხლს ლერიდენ, წიწკნიდენ და გლეჯდეს ერთი მეორეს. ნაცელათ იმისა, რომ ამგეარ უპედუ-რებაში თავის დაცემულ ხალხს დახმარებოდენ და ჭრმარიტ გზაზედ გამოეყვანათ, ისინი იმას გაიძახო-დენ, ჩვენ-კი პირეელობა ვიგდოთ ხელში, რომ ყვე-ლას ბატონი ვიყოთ, და სამართალს ჯანი გავარდეს, ხალხი ჩვენ გვენაცეალოსო.

აქა იქ თუ გამოჩნდებოდა გონიერი ადამიანი, რომელიც გრძნობდა, რომ მისი ერი, მისი სამშობლო იღუპებოდა, და დაუწყებდა ხალხს დარიგებას: ძმებო, ჩეენ რომ ერთი-მეორეს ვეჩხუბებით და არა უზოგავთ, ამითი ხომ ერთმანერთს ფასუსტებთ, და მტერსაც ეს უნდა: უფრო მალე და ადეილათ დაგვლუპავსო. მოდით გონს, ჩაფიქრდით, შევერთდეთ, დავივიწყოთ ყველაფერი ამისთანა უბედურების დროს, ძმურათ ხელი-ხელს მიეცეთ, შეერთებულ ძალას ვეღარათერი ვეღარ გაუმაგრდებაო; მაგრამ ხალხი იმდენათ დამონაცებული იყო, იმდენათ გონება დაწლუნგებული და დაბრმაცებული, რომ ამგვარი გრძნობები მის სულსა და გულს აღარ აფაქიზებდა, მტერსა და მოყვარეს ვეღარ არჩევდა, რა იყო მისთვის კარგი და რა ცუდი, არ იცოდა. ქართველებიც ხომ ამგვარმა ჰოქმედებამ დაგვაჭვეითა: იმის მაგიერ, რომ გაჭირვების დროს ყველა ეჭითმანეთს მიეშველებოდით, ერთი პირი გვექონიდა, იმერლები ცალკე გაურბოდით, ქართლელები ცალკე, მეგრელები ცალკე და, რასაკეირველია, მტერიც უფრო ადეილათ გვამარცხებდა.

საფრანგეთის ამბოხებამ იტალიაში ახალი აზრები გააერცელა. ხალხი ჩაფიქრდა და თავის მდგომარეობას ჩაუკვირდა. ახალი მოძრაობა მწერლობაშიც დაიწყო. ხალხის კეთილის მსურველებს ივედი მოეცათ და ბეჭდვით თუ სიტყვით ხალხს მისი საბრალო მდგომარეობის გათვალისწინება და შეგნება

დაუწეს. ისინი უხატავდენ ხალხს მამულის ძეელ დიდებას და ახლანდელ დაცემას, დამონავებას. კარგ მთქმელს კარგი გამონეც გამოუჩნდა. ხალხმა თან-დათან თეალები გაახილა, თავისუფლების სურეილი დაებადა. გამოჩნდენ თავდადებული პირები, რომლებიც ქადაგებდენ, სურეილი სხეა არის, საქმე სხეაო. ჩეენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ ერთის სურეილით, სხეის იმედათ ფართე ლოგინის დაკება არ გამოგვადგებაო. ჩეენვე სურეილიდამ საქმეზედ გადეიდეთ და თავი დალუპეისაგან გადაეირჩინოთ. ბევრი ჩეენგანი დაიხოცება, მაგრამ ერთხელ დაბადებული ერთხელ უნდა მოვკედეთ, მხოლოთ ნაძრას სიცოცხლეს სახელოვანი სიკედილი სჯობიაო.

ევროპის სხეა-და სხეა ალაგას ბევრი იყო მცი. რე ერი, რომლებიც უცხო ტომის ბატონობის ქვეშ იქელებოდენ და იმგვარსავე მდგომარეობაში იყვენ, როგორც იტალიელები. მეცხრამეტე საუკუნის და-საწყისში ყველა ამ პატარ-პატარა ერებში ეროვნულ-მა მოძრაობამ იჩინა თავი, თავისუფალი არსებობის სურეილი და სიყვარული გაძლიერდა, ფესვები გაიდგა. ამგვარმა მოძრაობამ ხომ იტალიის ხალხსაც სრულიათ გაულეიძა გონება, სულიერი ძალა მოუმატა და თავისკენ გაიტაცა. იტალიაში დაარსდა ბევრი ფარული საზოგადოება, რომელთა მიზანი მამულისათვის თავის-განწირვა და მისი გაჭირვებიდამ დახსნა იყო. ყველაზედ უფრო შესანიშნავი იყო კარგონარების საზოგადოება, რომელსაც მთელ იტალია

ში ჰქონდა გადგმული ფესვები. დააჩსდა რამოდენი-  
მე გაზეთი ხალხის მოსამზადებლათ; გამოჩინდენ ახალ-  
გაზრდა მწერლები, რომლებიც ხალხის თვალის ახე-  
ლას და ჩაგონებას ცდალობდენ. ხალხი თან-და თან  
გამოერკვა, შეიგნო, რომ მისი კეთილ-დღეობისათვის  
საჭირო იყო შეერთება და დამოუკიდებელი არსე-  
ბობა, მაგრამ ეხლა საჭირო იყო მოთავეე, ურომლი-  
სოთაც საჭმე ძნელათ გაკეთდებოდა. საჭირო იყო  
ისეთი კაცი, რომელსაც დაეძახა, აბა, ძმებო, მომყე-  
ვით უკან და მამულისათვის თავი გაეწიროთო. იტა-  
ლიას ბედმა გაულიმა და მისცა კაცი, რომელმაც  
ამისთანა საოცარი საჭმე იკისრა და სახელოვანათ შე-  
ასრულა: ეს იყო გარიბალდი.

ძნელათ მოიპოვება ისეთი კაცი, რომელიც გო-  
ნებაში ჩაერცნისათანაეე ერთ გზას დასდგომოდეს და  
ამ გზაზე მტკიცეთ ეაროს, რა ხილათიც უნდა და-  
ხეედროდეს; ერთი მიზანი დაესახოს წინ და მთელი-  
თავისი არსებით, — სიტყვით, საჭმით, გულით, გონე-  
ბით, სურეილით, — ამ მიზნისაკენ მისწრაფებულიყოს;  
თავის არსებობა დაევიწყებინოს, გულში და გონება-  
ში მხოლოთ თავის მოძმეების ბედი და უბედურება  
ეტარებინოს. ამისთანა კაცს არც მამული და არც  
მთელი კაცობრიობა აღარ ივიწყებს — ის უკვდავი  
ხდება. ამგვარი კაცი იყო გარიბალდი, რომელიც  
დღეს მკედარია, მაგრამ კი არ გამქრალა. მთელ ქვეუ-  
ნიერობაზე არსებობს, ყოველი შევნებული კაცის  
გულშია მისი სახელი აღმცენდილი.

რითი დაიმსახურა ამგვარი პატივი გარიბალდიმ?

— მით, რომ მთელი სიცოცხლე თავის ტან-ჯულ და დაცემულ მოძმეებს შეწირა. დაიბადა მა-მულისათვის, იცხოვრა მამულისათვის და მოკედა მაჟულისათვის. მთელ მის სიცოცხლეში არ ყოფი-ლა ისეთი წამი, როდესაც მას მარტო თავის თავი-სათვის ეზრუნოს. ის დაიბადა იმ ხალქში, რომელიც მონაბაში იტანჯებოდა და თავისუფლება სწყურო-და; ის იყო ხალხის გულიდამ წარმოშობილი ტან-ჯული მამულის სიყვარულით და ამიტომ არც შეეძ-ლო ემოქმედნა, ისე როგორც მამულისადმი სიყვა-რული არ მოითხოვდა. გარიბალდი ჰელავდა, რომ მამულის გაერთიანებისა და ალდგენისათვის ორი მტრის დამარცხება იყო საჭირო. ერთი იყო გარეული მტე-რი, ავსტრია, რომელსაც იტალიის ჩრდილო ნაწი-ლი, ლომბარდია, ეკუთვნოდა; მეორე იყო შინაური მტერი: დაქააქსული მამულის მეფეები და მთავრები.

მამულის ალდგენისათვის საჭირო იყო ჩრდილო იტალიის დაბრუნება და დაქააქსული სამეფოებისა და სამთავროების ერთ გვირგვინ ქვეშ შეერთება. უბრძოლეველათ ავსტრია ჩრდილოეთ იტალიაზედ ხელს არ აიღებდა, იტალიის წერილი მეფეებიცა და მთავრებიც თავის პირადობას უფრო მაღლა აყენებ-დენ, ვიღრე მამულის ბეღნიერებას, და სისხლის და-უღვრელათ არც ისინი გამოეთხოვებოდენ ბატონო-ბას, გარიბალდიმ ორივე მტერი დამარცხა და დაქ-საქსული მამული გაერთიანა და ალადგინა. ის და-

ობადა და გაიზარდა თავის საყვარელ ხალხის კალთა-  
ში; წაუძღვა მას წინ, გამოიყვანა მონობიდამ, სიგ-  
ლახიდამ, სირეგვენიდამ და სილატაკიდამ, დააყენა იმ  
გზაზედ, რომელიც მას სრულს ბედნიერებას უქადდა,  
შეასრულა თავის დანიშნულება და წარეიდა ამ ქვეყ-  
ნიდამ.

I.

ჯუზეპე გარიბალდი დაიბადა ქალაქ ნიკაში  
1807 წ. 22 მეტათევეს. ის იყო მეორე შეილი დო-  
მენიკო გარიბალდისა და ბოგიადოსი. ჯუზეპეს დედ-  
მამა საშუალო შეძლების პირნი იყვენ. მამა მისს  
საკუთარი ხომალდი ქონდა და იჯახს ვაჭრობით არჩენ-  
და. პატარა ჯუზეპე მეტათ ცოცხალი, ცელქი და ცერია-  
ლა ბავში იყო. იჯახში ყევლას ძალიან უყვარდა.  
დედა მისი, ბოგიადო, ერთობ პატიოსანი და გულ-  
კეთილი ადამიანი იყო. თავის ზნე-კეთილობას, მოძ-  
მისადმი სიყვარულსა და სიბრალულს ლრმათ უნერ-  
გავდა პატარა ბავშს გულში; თავის ზნეობრივ მო-  
ვალეობათ რაცხდა, შეილი მამულისათვის ალეზარდა  
და რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ მამულის  
თავდადებული სამსახურისათვის უპირველესათ მამუ-  
ლის სიყვარულია საჭირო, ამიტომ ყოველგვარი შემ-  
თხევეით სარგებლობდა, რომ პატარა ბავშის გულ-  
ში სამშობლოს სიყვარული ჩაენერგა და ეს დიადი  
ფრძნობა სიპატარაეიდანვე მის არსებაში წთაეზილა.

პატარა ჯუზეპე დედასაეით გულ·კეთილი და გულ·ჩეილი იყო; უელა სუსტი და ტანჯული ეცო-დებოდა. პირუტყვებიც კი უყვარდა და ებრალებოდა. ერთხელ, რატომ ჭრიჭინას უცაბედათ ფეხი მო-ევლიჯეო, ტირილით თვალები დაიწითლა. გარიბალ-დის მაშა, დომენიკო, თუმცა დიდი შეძლების პატ-რონი მარტინი, მაგრამ შეილის კარგათ აღზრ-დისათვის არასუერს პრ. ჭოვავდა. ბაეშის პირველი მასწავლებელი იყო მისი შორეული ნათესავი ჯიო-ეანი ჯიაკოლუ. ტეტროსი ძმაც, ანჯელო, ყმაწეილის აღზრდას დიდ ყურადღებას აქცევდა. მავრამ ყეელა-ზედ უკეთესი მასწავლებელი გამოდგა არენა, რომე-ლიც ბაეშს მუყაითათ ასწავლიდა და მის გონება-ზნეობის განეთარებას ძალიან უწყობდა ხელს. რად-განაც ქალაქი ნიცა საფრანგეთზედ ერთობ ახლოს-იყო, ეს გარემოება ყმაწეილების აღზრდაზედ გლა-ხათ მოქმედებდა: სამშობლო ენა სრულიათ მიერ-წყებული ქონდათ, სულ ფრანგულათ ლაპარაკობდენ და ფრანგულ ენაზედ სწავლობდენ. არენამ დაიხსნა გარიბალდი ამგვარის დამახინჯებისაგან, საფუძვლია-ნათ შეასწავლა მას სამშობლო იტალიური ენა და გააცნო თავის მამულის ისტორია. ნორჩმა ყმაწეილ-მა დაინახა, რომ მის მამულს უწინ დიალი წარსული ქონდა, იმგვარი განათლებული და კეთალდღეო-ბიანი სახელმწიფო მეორე არც·კი უოფილიყო, ეხ-ლა·კი სრულიათ დაცემული და გაოხრებული იყო. სამშობლოს ძეელი დიდებით გატაცებულსა და ძეე-

ლი გმირებით განცეიფრებულს ჯუზეპეს მისი ეხლან-  
დელი დაშტირება და გაღატაკება გულს უმღვრევდა;  
ოცნება გაიტაცებდა ხოლმე ბავშვს თა დაუხატავდა  
მამულის დიად მომავალს. მაგრამ მას მონებაში  
ბუნდათ იძალებოდა ჯერ დაშტირებულის გრძები,  
და ჯუზეპე სამშობლოს მომავალის მონების  
შემდეგ ხშირათ ფრქრობდა რაოდ შესაჭრება,  
ჩევნი იტალია კვლავ აღზუდ და გაბრინებულის.

Մ არენა ყმაწეილობისას საა და მარტინ უმარტინ უ-  
ფილიყო და ბავშვს ხშირათ მოუცილეობის ხალმე იმ  
ომების ამბავს, სადაც თეითონ მიეღო მონაწილეო-  
ბა. ამგეარი ამბები პატარა ჯუზეპეს რაინდულ სი-  
მამაცეს უბადავდა და მის ვაჟკაცურ ხასიათს უფრო  
განამტკიცებდა. ცხენზედ ჯდომას, იარალის ხმარებას  
და ცურავს გარიბალდი თეითონ სწავლობდა. ყოვე-  
ლივე ამაში ბოლოს ისე დახელოვნდა, რომ ტოლი  
არა ჰყეანდა. წყალში იხვიეთ ცურავდა; რეა წლის  
იყო, როდესაც ერთი ქალი დალრჩობას გადაარჩინა.  
სიპატარაეიდამეე მას ზღვა ძალიან შეუყვარდა. მა-  
მის გაუგებრათ იქირავებდა ხოლმე ნავს და იმ სი-  
შორეს გასწევდა ზღვაში, რომ რამოდენჯერმე კი-  
ნალამ დაილრჩო. ზღვის ტალღები და საშინელი  
ლელვა მას-კი არ აშინებდა, პირ-იქით უფრო და  
უფრო იზიდავდა.

თუმცა მამა მისს უნდოდა, შეილი მღვდლათ,  
ვექილათ ან ექიმათ გამოეზარდა, მაგრამ ჯუზეპემ  
უარი განაცხადა და გადასწყვიტა, ჩემი სიცოცხლე

ზღვაზედ უნდა გავატაროვო. აქალგაზრდა გარიბალდის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც მან პირ-ველათ გასწია ადესაში გემით. მალე ის დანიშნეს კაპიტნათ ერთ გემზედ და ამგვარათ დაიწყო მისი ზღვაზედ მიმოსელა. მოგზაურობის დროს გარიბალდი ყოველისფერს თვალყურს ადევნებდა და სწავლობდა, ამ დროს განმავლობაში იტალიის აღდგენის ფიქრი განუშორებლივ თან დასდევდა და მოსვენებას არ აძლევდა. ოც-და-ოთხი წლის გარიბალდი ერთხელ ქ. ტაგანროგში მოსელისას სასტუმროში შეეიდა, სადაც ჩეეულებრივათ მეზღვაურები ღვინის სასმელათ მიღიოდენ ხოლმე. აქ მას დაუხედა რამოდენიმე იტალიელი. მათ შორის იყო „ახალგაზრდა იტალიის“ ერთი წევრიც, რომელიც ცხარეთბასობდა თავის მამულის ტანჯეა-წვალებაზედ და იმაზრს იცავდა, რომ ამბოხება ერთათ ერთი გზა არის მამულის სახსნელათო.

გარიბალდი ამ მოულოდნელმა შემთხვევამ გააოცა და გამოაუხიზლა.

„როდესაც ქრისტეფორე კოლუმბმა ატლანტის ზღვაზედ გზის დაბნევის დროს გაიგონა მისა-თვის გასახარელი სიტყვა: „მიწაო!“, ის იმ დროს არ ყოფილა იმდენათ ბედნიერი, როგორც მე მამულის სახელი რომ შემომესმა. მაშ ყოფილან ისეთი პირები, რომლებიც იტალიის განთავისუფლებისათვის იღწეიან!“ ამბობს გარიბალდი თავ ის წერილებში.

სასტუმროდამ გამოსელისათანავე გარიბალდიშ გადასწყვიტა, ჩემი სიცოცხლე აწი სრულიათ მამულს ეკუთვნის, მე მისთვის უნდა ეიცოცხლო და მისთვისვე მოვკედეო.

მყისვე დაანება ზღვას თავი და გასწია ქ. მარსელში. იქ ამ დროს ცხოვრებდა მაძინი.

ჯუზეპე მაძინი კარგი ოჯახის შეილი იყო; იმგვარ პირებში აღიზარდა, რომ მამულის სიყვარული დედის რძესთან ერთათ შეისისხლხორცა და მისი ერთათ ერთი ფიქრი, წალილი და მისწრაფება მამულის განთავისუფლება იყო. გაათავა თუ არა უმაღლესი სასწავლებელი, თავის მიზნის მისაღწევათ სამწერლო ასპარეზი აირჩია. უქადაგებდა ყველას იტალიის ძეველ დიდებას, უნერგავდა მამულისადმი სიყვარულს და განთავისუფლების სურეილს. ის იყო ძლიერი ჭკუის ჰატრონი. იტალიის განთავისუფლება უდრეკელ რწმენათ გარდაექცა, დაიწყო ამ საქმის განხორციელება და ამიტომ უწოდებდა მას ხალხი წმინდა მასწავლებელს. მისი ერთი სიტყვა საკმარისი იყო, რომ ხალხს აღარც დახვრეტის, აღარც საღრმობელისი არ შეშინებოდა და მამულისათვის თავი შეეწირა.

გარიბალდიმ მალე გაიცნო მაძინი, დაუმეგობრდა მას და გახდა მაძინისაგან დაარსებულ „ახალგაზრდა იტალიის“ წევრათ. „ახალგაზრდა იტალია“, სწერდა მაძინი თავის თანამემალებს, წარმოადგენს იტალიელების ძმობას, რომელსაც რწამს პროგრესის და

შოგალეობის კანონი, დარწმუნებულია, რომ იტა-  
ლია დამოუკიდებელი გახდება და თვითონ გაართმევს  
თავს თავის მორებს „... მაძინი მოკლე ხანში ამბოხე-  
ბას აპირებდა. გარიბალდის მიანდევს ზღვაზედ ამბო-  
ხების მომხრეების მოგროვება. გარიბალდი შევიდა  
ამ მიზნით სახელმწიფო სამსახურში და მალე მრავა-  
ლი მამულისათვის თავდადებული პირები მოაგროვა.  
ჯარის უფროსათ ამოირჩიეს ერთი პოლონელი გენე-  
რალი რამორინო. რამორინო ზანტი მოქმედების კა-  
ცი იყო და საქმე იმდენათ გააჭიანურა, რომ მთავ-  
რობამ ყოველისთვერი გაიგო, ჯარი გაფანტა და ამ-  
ბოხების რამოდენიმე მოთავე შეიპყრო. გარიბალდი  
ქ. გენუაში დაიმალა ერთ დედაკაცთან, რომელიც  
ხილსა ყიდდა ხოლმე. გულკეთილმა დედაკაცმა მის  
გადასარჩენათ ყოველიუე იღონა.

ერთ საღამოს გარიბალდიმ ჩაიცვა გლეხის ტა-  
ნისამოსი და გამოვიდა ქალაქიდამ. ცხრა დღე და  
ღამე სულ მალულათ იარა უგზო-უკლეოთ და მეა-  
თე დღეს მოვიდა ქ. ნიკაში თავის დედიდასთან. დე-  
და კი არ ინახულა, რადგანაც მისი შეშინება არ უნ-  
დოდა. მეორე დღეს გარიბალდიმ ქ. მარსელს გას-  
წია. გზაზედ დაიჭირეს, მაგრამ საპყრობილის მეორე  
სართულიდამ გადმოხტა და გაიქცა. როცა მარსელს  
მოვიდა, დანამდეილებით გაიგო, რომ მთავრობას  
მისთვის იტალიაში სიკედილით დასჯა გადაეწყვეტა.  
ჭარიბალდიმ რამოდენიმე ხანი დაპყო მარსელში და  
შემდეგ ერთ ხომალდზედ მატროსათ დადგა. ერთხელ

როდესაც კაპიტანს ელაპარაკებოდა, ერთი ბავში თა-  
მაშობის დროს ზღვაში გადაეარდა. გარიბალდი მყის-  
ვე გადახტა წყალში, ბარე სამჯერ ჩაიყურყუმალა,  
ძლიერ გაჭირებით იპოვა ბავში და სიკვდილს გა-  
დაარაჩინა. „ბავშის დედის სიხარულის ცრემლებმა და  
ლოცვამ უხევათ დაჯილდოვეს გარიბალდი ამგვარის  
მოქმედებისათვის“.

როდესაც გარიბალდი ისევ მარსელში დაბრუნ-  
და, ქალაქში ხოლერა მძეინვარებდა და ხალხს სულ  
მუსრს ავლებდა. ქალაქიდამ ყველა გახიზნულიყო  
გარდა ავათმყოფებისა, ექიმებისა და მომელელი ქა-  
ლებისა. გულკეთილი გარიბალდი მყისვე საევათმცუ-  
ფოში დადგა და, ვიდრე ხოლერა არ განელდა, აეთ-  
მყოფებს თავდადებული უელიდა. ამგვარი ხასიათის  
იყო ის კუთ, კუმელმაც შემდეგში მთელი იტალია  
აღალგინა და უკუდაეთა შორის საუკეთესო აღვილი  
დაიჭირა. როდესაც ხოლერა მორილდა, გარიბალ-  
დი მატროსათ დადგა ერთ ხომალდზედ და ამერიკა-  
ში გასწია. მას უნდოდა ახალი ქვეყნები გაეცნო,  
მომზადებულიყო და ისე შედგომოდა მამულის სამ-  
სახურს.

## II

ამერიკაში გარიბალდი პირეელ ხანს თითქმის  
უსაქმეურათ იყო. როდესაც რიოგრანდეს რესპუბლი-  
კა აჯანყდა და ბრაზილიას ომი გამოუტადა, გარი-

ბალდი ჩესპერბლიკას მიექომავა. თუ-კი რომ შე-  
მთხვევა ექნებოდა, დაჩაგრული დაეფარა, მას ამაზედ  
მეტი არა უნდოდა რა, და ეხლაც სწორეთ ამგვარი  
შემთხვევა ქონდა ხელთ. გარიბალდიმ იშონა პატა-  
რა ხომალდი, რომელსაც დაარქვა თავის მეგობრის  
პატივისცემით „მაძინი“, მოიმხრო ბევრი იტალიე-  
ლი, რომლებიც ამერიკაში ბლომათ იყვენ, და ამ-  
გვარათ იცავდა რიოგრანდეს დამოუკიდებლობას.  
ერთ ბრძოლაში გარიბალდი დასჭრეს და ტყვეთ შე-  
იპყრეს. ჭრილობა საშიში იყო, გარიბალდის ძალიან  
აწვალებდა, მაგრამ ტყვია კარგათ ამიაცალეს და  
მალე მოარჩინეს. სეირნობის ნება მიცეს, თვალყურს  
არ ადევნებდენ, ამიტომ გაქცევა დააპირა და კიდეც  
აასრულა. ქალაქს კარგა მოშორდა; იფიქრა, ეხლა  
ეელარავინ დამეწევაო და დასასვენებლათ შეჩერდა.  
თურმე მდევრები გამოდგომოდენ უკან, წამოეწიენ  
ამ დროს და შეიპყრეს. ხელები უკან ზურგზედ გა-  
უყრეს, ფეხებში ბორკილი მიცეს და ისევ უკან მო-  
იცვანდეს.

გუბერნატორის თანამდებობას ამ დროს ვიღაც  
ლეონარდო მიღლანი ასრულებდა. როდესაც შე-  
ბორკილი გარიბალდი მასთან მიიყვანეს, მან უბრძანა,  
ეხლავე დამისახელე ის პირები, რომლებმაც გაქცე-  
ვაში ხელი შეგიწყვესო. გარიბალდიმ უარი განაც-  
ხადა. მიღლანმა წასჩურჩულა რაღაც ჯარის კაცებს  
და წავიდა. გარიბალდი საპურობილები წამოიყვანეს,  
ზურგზედ გაკრულ ხელების მაჯებზედ ბაწარა მოა-

ბეს და მაღლა ჩამოკიდეს, ძნელი წარმოსადგენია ის ტანჯვა, რაც ისე ჩამოკიდებულ ადამიანს მიადგებოდა. მხრების სახსრებმა გარიბალდის ლაწანი დაუწყეს, მაგრამ მას წარბიც არ შეუხრია. მალე შემოვიდა მილლანი და გარიბალდის დაეკითხა, გამოტყდები, თუ არაო. გარიბალდი პასუხის მაგიერ შიგ სახეში ჩააუურთხა. უსინიდისო მილლანმა ბრძანა, ასე იტანჯოს, სანამ არ გამოტყდებაო. გარიბალდის მთელი ტანი ნაკვერცხალსავით უხურდა; მეტის ტანჯვისაგან შუბლზედ სიმწრის ოფლს ასხამდა; ყოველ წამს პარი უშრებოდა. ორი საათის ამგვარი ტანჯვის შემდეგ გარიბალდი ყარაულებს შეეცოდათ და ჩამოხსნეს, რაღაც მკვდარი ეგონათ.

რამოდენიმე დღის შემდეგ შეუყარეს ხელებში ბორკილი და გაგზავნეს მეურე საპყრობილები, რომელიც კარგა შორს იყო. მთელი გზა გარიბალდიმ ქვერთათ გაიარა. ამ საპყრობილები გარიბალდიმ რამოდენიმე ხანს დაჰყო. აქ მას გამოუჩნდა ერთი გულკეთილი ქალი, რომელიც მას უვლიდა და ყოველიფერს უგზავნიდა, თუ საჭმელს, თუ წამლებს. დიდხანს აწეალეს აე გარიბალდი. ბოლოს ერთმა გუბერნატორმა გუნთავისუფლა. შემდეგში გარიბალდიმ ეს ლეონარდო მილლანი ტყვეო შეიპყრო; გარიბალდ-მ არ ინახულა ის, რაღვანაც ეშინოდა, ვარ თუ ჩემი ძველი წეალება გამახსენდეს და სამაგიეროს გადახდის სურვილი დამებალოსო, და უბრძანა, გააწთაეისუფლეთო. ამგვარი გულის კაცი იყო გარი-

ბალდი; რა სატანჯველიც უნდა მიეყენებიათ მისთვის, ის ყოველისფერს ივიწყებდა და სამაგიეროს არავის არ უხდიდა.

ამის შემდეგ გარიბალდი შეუერთდა რესპუბლიკის უმთავრეს ჯარს და მისმა ურიცხვმა გამარჯვებამ და ვაჭყაცობამ არამა თუ მთელი ამერიკა აალაპარაკა, არამედ ევროპაშიაც გადმოვიდა ამბავი. მის თანამემამულეებს, რომლებსაც საშობლოსათვის გული უძევერდათ, გარიბალდის ამგვარი ვაჭყაცობა და სამხედრო ნიჭი იმედს უბადავდა გულში, რადგანაც იტალიის განთავისუფლება და ოლდგენა მხოლოთ ამგვარ პირებზედ იყო დამოკიდებული. გარიბალდი ხან ხმელეთზედ იბრძოდა, ხან ზღვაზედ და ყველგან გამარჯვებული იყო. ერთხელ, როცა გარიბალდი ზღვაზედ იყო ოცდაათი კაცით, ატყდა საშინელი ლელვა, დაეჯახა ტალღა გარიბალდის ხომალდს და გადააბრუნა, ყველა წყალში გადაცეინდა. გარიბალდის საკუთარი თავი დაეიწყდა და სხვის გადარჩენას ცდილობდა. საშინელი ლელვის გამო ყველა ვერ გადაარჩინა; თოთხმეტი კაცი მაინც დაიხრჩო, ყველა იტალიელი. მათ შორის ორი გარიბალდის საუკეთესო მეგობარი იყო. გარიბალდი დაჯდა ზღვის პირას და გულსაკლავათ ქვითინი დაიწყო.

ეს შემთხვევა აშკარათ გვიჩერებს, თუ რა ჩეილი და მოსიყვარულე გულის პატრონი იყო გარიბალდი. მეგობრების დალრჩობამ ის საშინლათ დააღონა; გახდა, ყოველისფრის ხალისი დაჰკარგა. ასე

ეგონა, ქვეყნიერობაზედ ობლათ დავრჩიო. „ქვეყნიერობა ჩემს თვალში უდაბნოთ გარდაიქცაო“, სწერს ის. ამიტომ გადაწყვიტა ცოლის შეჩრეა, იქნება გული გადაფაყოლო და გაერთოვო. მალე მოეწონა ერთი ყმაწვილი ქალი, ანიტა, და ჯვარი დაიწერა. ამის შემდეგ უოველ ბრძოლაში ანიტა თან დადევდა გარიბალდის და, როგორც ნამდევილი ვაჟკაცი, ისე იბრძოდა. როცა მის გარშემო ტყვეას ზუზუნი გაქონდა, მას არაფერი არ აშინებდა. ერთ სასტიკ ბრძოლაში გარიბალდი იძულებული იყო უკან დაეხაა, რადგანაც თავს ურიცხვი მტერი დაატყდა; ანიტას ორმოც კაცამდე შემოეხეია გარს. მან გადაჰკრა ცხენს მათრახი და გაფარდა განზედ, მაგრამ ტყვიამ ცხენი მოუკლა და ანიტა ტყვეთ შეიპყრეს.

ტყვეობაში ანიტა' უველა პატივისცემით ეპურობოდა მალე ანიტამ დრო იხელთა, იშოვნა ცხენი და გაიპარა. არც დღე და არც ღამე აღარ გაჩერებ ბულა, სულ კლდე-ლრე იარა; მთაში ვინც დაინახავა; და, უველას მოჩენება ეგონა და გარბოდა. რამდენისამე დღის შემდეგ ის გარიბალდის წამოეწია. წარმოიდგინეთ ორივეს გაკეირეება; ერთმანერთი ცოცხალი აღარ ეგონათ და ახლა მათ სიხარულს საზღვანი აღარა ჰქონდა. გარიბალდიმ დაიბინავა მახლობელ სოფელში. აქ ანიტას შეეძინა ვაჟი, მენოტტი. დედის ვაჟკაცობა შეიღს შუბლზედ ეწერა, რადგანაც წარმთან ჭრილობა დაჰყეა; ამის მიზეზი ის იყო,

რომ ანიტა ოჩისულობის დროა. ცხენიდამ გადმო-  
ვარჩა.

ამგვარათ ექვსი წელიწადი ემსახურა გარიბალ-  
დი უცხო ხალხს, ბოლოს გამოეიდა სამსახურიდან  
და დასახლდა მანტევიდეოში. პატარა ხანს ჩოდრო-  
ბა დაიწყო და მოაგროვა იმდენი ფული, რაც პირ-  
ელ ხანს ახალ მეოჯახისათვის საჭირო იყო. შემ-  
დევ ვაჭრობას მოჰკიდა ხელი. ჩამოდენიმე ხნის შემ-  
დევ ვაჭრობასაც თავი დაანება და მასწავლებლათ  
დადგა. მალე მონტევიდეოს რესპუბლიკაც აჯანცდა.  
გარიბალდიმ მიმართა თავის თანამემამულეებს, რომ-  
ლებიც იქ ბლომათ იყვენ; ურჩია, მოვეგრავდეთ,  
შევაღვინოთ ჯარი და მონტევიდეოს რესპუბლიკას  
დავეხმაროთ. ყოველ შემთხვევაში გარიბალდი იმას  
ექომაგებოდა, ვინც უფრო სუსტი და მართალი იყო.

მალე შედგა „იტალიის ჯარი“ გარიბალდის მე-  
თაურობით. ამ ჯარმა მონტევიდეოს რესპუბლიკას  
დიდი სამსახური გაუწია. ჯამაგირი მას არ ეძლეოდა;  
მხოლოთ სასმელ-საჭმელს აძლევდენ. გარიბალდიც  
ამით კმაყოფილდებოდა, რადგანაც სუსტის დაფარვას  
ზენაბრივ მოვალეობათ რაცხდა და ამგვარ სამსახურ-  
ში ჯამაგირს აროდეს არ იღებდა. სასმელი და საჭ-  
მელი თუ ექნებოდა, მეტს არაფერს არ ითხოვდა.  
„იტალიის ჯარის“ ლვაწლი იმდენათ დაუფასებელი  
იყო, რომ რესპუბლიკის მთავრობამ ის საკუთარის  
დროშით დაჯილდოვა და დასაჩუქრებაც უნდოდა,  
მაგრამ უკანასკნელზედ გარიბალდიმ უარი განაცხა-

და: — იარაღს მისთვის მოვკიდეთ ხელი, რომ თქვენ-  
თან ერთათ თქვენი თავისუფლება და დამოუკიდებ-  
ლობა უანგაროთ დაგვეცვა. ჩვენ მომავალშიც ისე  
მოვიქცეთ, თუ კი გამოგადგებით რაშიმეო.

1846 წელს 8 თებერვალს მოხდა უკანასკნე-  
ლი ბრძოლა. მიუხედავათ იმისა, რომ მტერი გაცი-  
ლებით მეტი იყო, „იტალიის ჯარმა“ საშინლათ  
დაამარცხა. „იტალიის ჯარის“ ასეთი გასაოცარი მო-  
ქმედება უმთავრესათ გარიბალდის გამჭრიახობის და  
სამხედრო ნიჭის ბრალი იყო. არც ერთი განკარგუ-  
ლება არ მოუხდენია გარიბალდის ისეთი, რომ წინ-  
დახედულობით, გამოცდილებით, გასაოცარის ნიჭი-  
თა და გამჭრიახობით არ ყოფილიყოს აღბეჭდილი.  
გემების უფროსი, ლენე, გარიბალდის მოქმედებით  
იმდენათ ალტაცებული იყო, რომ ჯერ წერილი მო-  
სწერა გარიბალდის და შემდეგ თვითან გამოსწია  
მონტევიდეოში გარიბალდის სანახავათ. უბრალო მუ-  
შის სახლისაგან არ განიჩეოდა ის საღვამი, რო-  
შელშიდაც ამდენი გამარჯვების გმირი ცხოვრებდა.

ლამე იყო, ლენე რომ მოეიდა; შემოეიდა ოთახ-  
ში და სიბნელისა გამო სკამს ფეხი წამოკრა.

— თუ კისერი არ მოიტეხა ადამიანმა, ისე ვერ  
ელირსება გარიბალდის ნახეას? წამოიძახა მან.

რა უცხო ხმა შემოესმა გარიბალდის, მყისეე  
ცოლს დაუძახა:

— ანიტა, სანთლისათვის ფული ხომ არა გაქვს:  
ვილაც მოეიდა.

— ერთი გროშიც აღარ გვაძალია, გამოუცხადა  
ანიტემი.

  
— არა კარაკი ლენის კარგათ ესმოდა.  
ან აკერძო მართვა და გროდათ ფული: სამსახურისათვის  
ჯარაცხავისა და ლეპდა და, თუ თავის მეცადინეობით  
იშვიათი როგორმე ორიოდე ფარას, მასაც ღარი-  
შე ჯარულივებდა.

გარიბალდი იძულებული იყო, იავის სტუმარს  
ბნელი ოთახში გამომუსაიფებოდა.

— მე, ბატონო, აღმირალი ლენე გახლავარ,  
დაიწყო სტუმარმა: თქვენმა საარაკო მოქმედებამ იმ.  
დენათ გამაოცა, რომ ველარ მოეითმინე და თქვენს  
სანახავათ გიახელით.

— უკაცრავათ ვარ თქვენთან, უპასუხა გარი-  
ბალდიმ: — როდესაც მონტევიდეოს რესპუბლიკას პი-  
რობით შევეკარი, საჭმელთან ერთათ დამავიწყდა  
სანთლებიც ჩამეწერა, თუ გაიგონეთ, წელან ჩემი  
მეუღლე მეუბნებოდა, ერთი გროშიც აღარ გავეაჩ-  
ნიაო. ამიტომ მეტი გზა აღარ არის, ასე ბნელაში  
უნდა ეისხდეთ. იღბლათ მიმხედარი ვარ, აღმირალო,  
რომ თქვენ ჩემთან სალაპარაკოთ მოსულხართ და  
არა იმისათვის, რომ ჩემ სახეს უცქიროთ“.

დიღხანს ილაპარაკეს ორივემ. გამომშეიღობე-  
ბის შემდეგ ლენემ გასწია სამხედრო მინისტრთან და  
ყოველივე უამბო. მინისტრმა მაშინათვე გაუგზავნა  
გარიბალდის ფული. გარიბალდიმ მინისტრს ველარ  
აწყენია და ფული დაიტოვა, მაგრამ მეორე დღესვევ

ქერივ-ობლებს დაურიგა. თაეისთეინ მხოლოთ ერთი  
გირვანქა სანთელი იყიდა და ცოლს მოუტანა: — მეო-  
რეთ თუ კიდევ გვესტუმრა არმა და მამოგვადგე-  
ბაო. თეითონ ყოველისფერს იკლებდა მაგრა იბალდი,  
გაჭირვებულისათვის კი არათერს არ ზოგადდა დარი-  
ბულათ ცხოვრებდა, დარიბულათ იცვამდა, ღრმიბუ-  
ლი პურის ჭამა ქონდა: მის ჩეეულებრივ საჭმელს  
პური და ყველი შეადგენდა; ათასში ერთხელ თუ  
მოხარშავდა ანიტა წენიან საჭმელს. თუ რამეს იშო-  
ნიდა, სულ ქერივ-ობლებს აძლევდა, თეითონ კი ხში-  
რათ ერთი გროშიც აღარ ქონდა სახლში. ერთხელ  
მას შემოხედა ჯარის კაცი, რომელსაც ხალათი არ  
ეცვა. გარიბალდიმ დაუძახა, გაიძრო თაეისი ხალათი  
და მიცა. მობრუნდა სახლში და ცოლს მეორე ხა-  
ლათი მოთხოვა, მაგრამ მან უპასუხა:

— ერთი გქონდა და ისიც სხეოსათვის მიგიცა;  
მეორე აღარ გახლაეს. ამგვარათ რამოდენიმე ხანს  
გარიბალდი უხალათოთ იყო, რადგანაც ფულიც აღარ  
ქონდა, რომ ეყიდა.

### III

სანამ გარიბალდი ამერიკაში იბრძოდა, მამულის  
შეილებს იტალიაშიც არ ეძინათ. მარანის რედაქტო-  
რობით გამოდიოდა გაზეთი, რომელიც ხალხს უქა-  
დაგებდა, თუ მამულის დახსნა გინდათ, აესტრიის ბა-  
ტონობა უნდა მოსპოთ, წერილი წერილი მეფეები

განდევნოთ, მამული შეაერთოთ და ერთი სახელმწიფი-  
ოთ შექმნათო. გაზეთი ისე იყო გაერცელებული,  
რომ უკანასკნელი მუშაც კი გაფაციცებით კითხუ-  
ლობდა. ხალხი გამოერკვა, შეიგნო აესტრიის ეერა-  
გული მოქმედება და დღე დღეზედ ამბოხებას აპი-  
რებდა. იტალიელების უმეტესმა ნაწილმა განთავი-  
სუფლებული მამულის მომავალ მეფეთ სარდინიის  
მეფე კარლ ალბერტი დანიშნა.

ლომბარდია და ვენეცია აჯანყდა აესტრიის წი-  
ნაალმდეგ. მეფე კარლ ალბერტიც ამხედრდა ლომ-  
ბარდიის მისაშეელებლათ. ეს ამბავი რომ გარიბალ-  
დის ამერიკაში მიუვიდა, მან დაანება ამერიკას თავი,  
ცოლაშეილით და რამოდენიმე იტალიელით სამშობ-  
ლოს მოაშურა. როდესაც გემი იტალიის ნაპირს მი-  
უახლოვდა, იქაურობა ურიცხვი ხალხით გაივსო. რა-  
დაინახეს გარიბალდი, უეიჩილი და ვაშას ძახილი ას-  
ტეხეს. ალფრონევანებული ხალხი სიხარულით ეგე-  
ბებოდა თავის გზის მაჩევნებელ ვარსკვლავს. მისი  
ალტაცება ნათლათ მოწმობდა, თუ რა ნუგეში იყო  
მისთეის გარიბალდი და რას მოელოდა მისგან იტა-  
ლიაში მოსვლისათანავე. გარიბალდიმ ჯერ სარდი-  
ნიის მეფეს მიმართა, მაგრამ მეფეცა და მისი სამხედ-  
რო მინისტრიც მედიდურათ დაუხედნენ და გარი-  
ბალდიმ ლომბარდის ქალაქ, მილანს, მიაშურა.

მილანის მმართველობაში დანიშნა ის გენერლათ.  
მან შეაგროვა ურიცხვი ყმაწეილ კაცობა, ეისაც მა-  
შულისათვის გულს ერჩოდა, შეასწავლა მათ სამხედ-

რო წეს რიგი და გაეშურა მტრისაკენ. სანამ ის მტრის ერთ ჯარს ებრძოდა, მეორე ჯარმა მეფე ალბერტის უხეირობით მილანი აიღო. ამ გარემოებამ გარიბალდი ისე გააცხარა, რომ ხალხს შემდეგის მოწოდებით მიმართა:

„სარდინის მეფე მამულის მოალატე ყოფილა. დღეის შემდგ მას ალარ ცემორჩილები. საკუთრათ ვიწყებ ომს მამულის სახსნელათ და, ვისაც ფულს გერჩასთ, უკან მომყევით!“

ამ დროს რომში ამბოხება მოხდა; პაპი გაიქცა. რომა რესპუბლიკათ გამოაცხადეს და მმართველობის თავში სამი კაცი დანიშნეს; მათ შორს ერთი გარიბალდის მევობარი მაძინიც იყო. საფრანგეთის იმპერატორი პაპის გამოესარჩილა და აჯანყებული რომის წინააღმდევ რეა ათასი კაცითა და თოთხმეტი სამხედრო გემით გენერალი უდინო გამოუგზავნა. რომის მთავრობამ ჯარის უფროსათ გარიბალდი მოიწვია. როდესაც გარიბალდი შეენიერ ცხენზედ, განიერი წითელი ხალათით და მაღალი შავი ქუდით რომში შევიდა, ხალხის ალტაცებას საზღვარი ალარა ჰქონდა.

— „აი ჩეენი საარაკო გმირი, რომელსაც ქვეყნიერებაც ვერ გაუმაგრდება“, იძახდა ყველა.

მართლაც ისეთი ვაჭყაცობისა და გმირობის სახელი ქონდა მას ამ დროს გაეარღნილი, ისეთის სასოებით უყურებდა ხალხი თავის პირშო შეიღს, რომ თითოეული მათგანი დარწმუნებული იყო: გა-

რიბაილდო ჩეენ სახსნელათ არის ზეცით მოელენილა  
და ფუნქციურული ზლვა და ხმელეთა მის წინააღმა-  
რთული ამხედრდეს, მაინც ერთ ბეჭეს ვერ გაუბრუნ-  
დება. დიახ, გარიბალდი სხვათა შორის მით იყო  
შესანიშნავი, რომ ყოველი ადამიანის გულში ამგვა-  
რი ურყეველი რწმენის აღმოცენება შეეძლო. მისი  
ნიჭის სიმამაცის და მამულის განუსაზღვრელი სიყვა-  
რულის გარდა ეს რწმენაც იყო მიზეზი, რომ სამ-  
ხელრო წეს-რიგის უკოდინარმა ხალხმა ძლიერი მტრის  
გაწერთნილი ჯარი სძლია და მამული აღადგინა.

გარიბალდიმ მოაგროვა ორი ათას ხუთასი კა-  
ცი. ზოგი მათგანი ჯარის კაცი იყო, ზოგი მასწავ-  
ლებელი, ზოგი მოსწავლე, — აქ ყოველგვარ ხელო-  
ბის კაცს ნახავდით. მალე მტერი ქალაქს მოუახლოვა  
და. ასტყდა საშინელი ბრძოლა. მთელი ცხრა საათი  
დაჭრილ ლომებსაცით ეკვეთებოდენ ერთმანეთს.  
ბოლოს დაქანცულ მტერს წამოუქროლა გარიბალ-  
დიმ, ხიშტით მიიტანა იერიში იქ, საიდამაც უდინო  
არ მოელოდა, ნახევარზედ მეტი ჯარი გაუწყვიტა და  
წინ დაიფრინა.

საღამოზედ მთელი რომი გაჩირალდნებული იყო.  
ხალხი სიმღერა-მხიარულებით გამარჯვებას დღესა-  
წაულობდა, რადგანაც ეს გამარჯვება მამულის ბრწყინ-  
ვალე მომავალის უტყუარი თავდები იყო.

ხალხის თვალში გარიბალდი ნამდეილ ღმერთათ  
გარდაიქცა. მაძინი და მისი ამხანაგები, რომლებიც  
მმართველობის სათვეში იდგენ, შურით გაიმსჭვალენ,

მამულის დახსნის წმიდა საქმეში თავის ტერესები ჩამოურიეს: იმის მაგიერ, რომ მათ არ არის უფროსათ გარიბალდი დაენიშნათ, უკანაც 5 ათასი გენერალი დანიშნეს და გარიბალდი კი მის ბაზნე, ბას დაუმორჩილეს. მაგრამ გარიბალდი სხვასავაჭრ დაბალი სულის პატრონი არ ყოფილა. მთელი მისი არსება მამულის სიყვარულით იყო გამსჭვალული, მამულის სიყვარული აძერებდა მის გულს; ეს წმიდა გრძელობა მის უკანასკნელ ბალანსაც კი ასულდგმულებდა და განა ამგეარ დიად საქმეში მას პირადი რამ დაებადებოდა?! სირცხვილი სხვას, თორემ ის თუნდა უბრალო ჯარის კაცათ იომებდა და ისე შე. წირავდა მამულს პატიოსნებით აღსავსე გულს.

როდესაც ნეაპოლიტანის სამეფოც აჯანყდა და მისმა უცხო ტომის მეფემ სატახტო ქალაქ ნეაპოლის გარშემო ჯარების შემოკრება მოიწადინა ტახტის განსამტკიცებლათ, გარიბალდიმ მცირეოდენის ამაღლით ნეაპოლიტანის ჯარს გზა შეუკრა. მოატყდა ურიცხვი მტერი და ასტყდა საშინელი ბრძოლა. გარიბალდი უფროსს თხოვდა, ჯარი მომაშეელეო, მაგრამ ის ხმასაც არ ცემდა. გაცხარებულ ბრძოლის სრის გარიბალდი ცხენიდამ გადმოავდეს, ერთ წამს ყველას მოკლული ეგონა, მაგრამ ის მარდათ წამოხტა ზეზედ, მოახტა ცხენს, ცალი ხელით ხმალი იშიშევლა, როგორც მეფე ერეკლემ იცოდა, გაჭირების დროს, მეორე ხელში ქუდი ააფრიალა იმის ნიშნათ, რომ ცოცხალი ვარო, და მტერს დაურბინა.

უკან მიჰყეა გამხნევებული ჯარი და ურიცხვ მტერს გაქცევა აკადრებიეს. დაქანცული გარიბალდი თავის ჯარით რომს დაბრუნდა, მაგრავ თვალის წატყუებაც კი ვერ მოასწრო, რომ ზარბაზნის ხმამ გამოაღვიძა. თურმე გენერალ უდინოს ყარაულები მოეტყუებია და საფრანგეთის ჯარით რომში შემოპარულიყო.

გარიბალდი მოახტა ცხენს და დაქანცული ჯარით დაუხვდა მტერს, მაგრამ მოტყუებით შემოპარულ მტერს საუკეთესო ალაგები უკვე აეღო და გამაგრებულიყო, თოთხმეტი საათი გასტანა საშინელმა ბრძოლამ; ხან ერთი იმარჯვებდა, ხან მეორე, მაგრამ წინადლით ომ გარდახდილი გარიბალდიელები ურიცხვ მტერს როვორ შეაჩერებდენ! გარიბალდის სულ დაუხვრიტეს ტყვიით ტანისამოსი, მაგრამ თეთონ უვნებელი დარჩა. მეტი წინააღმდევობა შეუძლებელი იყო; გარიბალდიმ ჯარს უკან-დახევა უბრძანა. ასე სამწუხაროთ გადაწყდა რომის რესპუბლიკის ბედ-ილბალი. სამ მკათათვეს საფრანგეთის ჯარმა რომი დაიკავა, გარიბალდიმ კი ორი ათას ხუთასი ქვეითი ჯარითა და ოთხასი ცხენოსანით ქალაქი დატევა.

„თქვენ მოგელისთ სიცხე და წყურვილი დლით, სიცივე და სიმშილი ღამით. საჩუქრის მაგიერ დაქანცვა და ხიფათი ყოველ ნაბიჯზედ დაგიხვდებათ; თავშესაფარსა და დასევნებას ვერ ელირსებით. ყოველგვარ გაჭირებას გამოიყელით: სიფხიზლე სულის უკანასკნელ აღმოფუშენამდე, საშინელი მოგზაურო-

შეგიწირია მისთვის შენი თავი, აბა მიყურე, თუ ან  
მე ჩამოგრჩე უკან მამულის სამახურშიო.

და მართლაც ყოველ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა, მეომართ ტყვია-წამალს აწედიდა, დაჭრილებს უელიდა და ანუვეშებდა, როდესაც მის გარშემო ტყვიას ზუზუნი გაქონდა, მას ფერიც არ ეცვალებოდა და, თუ ვინმე შეკრთებოდა, მისი გამამხნევებელი ანიტა იყო. მართლაც, რომელი იქნებოდა იმდენათ ლაჩარი, ქალს გახურებულ ბრძოლაში დაინახავდა და თეითონ უკან დაიხვდა!

ანიტას გდამი გარიბალდიმ ფარულათ დაასაფლავა მინდორში ერთი ხის ქვეშ. შემდევში მისი ნაშთი გადიტანეს ქალაქ ნიცაში და ბოლოს კაპრერას კუნძულზედ, სადაც გარიბალდიმ თავის მოხუცებულობის უკანასკნელი წუთები გაატარა.

#### IV

ცოლის გარდაცვალების შემდევ გარიბალდი არმოდენიმე ხანს კიდევ დარჩა იტალიაში. რაღანაც მტერთან ომის გაგრძელება ჯერჯერობით ძნელი იყო, ამიტომ მან ჯარის გროვებას თავი დაანება და ამერიკაში გასწია. აქ ის შეუამხანაგდა ერთ შექარხნეს და სანთლის კეთება დაიწყო. ამგვარათ იტალიის საუკეთესო გმირი და მამულის შეილი სახელოებ დაკაპიწებული უბრალო მუშასაეით ქონით.

საესე ქვაბს უჩეედა ხოლმე. შემდეგ ვაჭრობას მოკიდა ხელი, მოგრძოებილი ფულით იყიდა ოტალიის ახლო პატარა კუნძული, კაპრერა და აქ დასახლდა. მაღვე გარიბალდის კავურისაგან წერილი მოუკიდა. ის თხოვდა, ტურინში ჩამოდი და ჯარის უფროსობა იკისრეო.

კავური იყო სარდინიის სამეფოს პირეველი მინისტრი და საუკეთესო მამულის შეილი. მის უპირესეს საწადელსა და სანატრელს იტალიის გაერთიანება და მისი დიდების აღდგენა შეადგენდა, მაგრამ მას უნდოდა სასურეელ მიზნამდის ეშმაკურის მოქმედებითა და მოხერხებით მიეღწია. ის დაუმევობრდა საფრანგეთის მეფე ნაპოლეონ III-ეს და 1859 წელს აღუთქვა, თუ აეტრიიელების წინააღმდეგ დამეხმარები და ლომბარდია-ენეციას დამაპყრობიებ, სავოიას და ნიცას მოგცემო. ნაპოლეონი დიდის სიამოვნებით დათანხმდა. ვიქტორ ემანუილმა, რომელმაც ორმოცდარეა წელს მამის კარლ ალბერტის ტახტი დაიჭირა, მყისვე აესტრიიელებს ომი გამოუტადა. საფრანგეთმა ჯარი მოაშველა. მიიღო თუ არა გარიბალდიმ კავურის წერილი, ალტაცებაში მოვიდა, გამოსწია კავურთან და აღუთქვა, დღეიდამ ვიქტორ ემანუილის სახელით ვიომებო. მას ჩააბარეს ჯარის ერთი ნაწილი და სრული თავისუფლება მიეს, როგორც გინდა, ისე იმოქმედეო. გარიბალდი დაბანაკდა ქალაქ ვარაზეს მახლობლათ და აქედამ უქადაგებდა ხალხს: ვისაც მამული გიყვარსთ და ქუ-

დი გხურავსთ, შეიარალდით და მტერს შეებრძოლეთო. ყველი კუთხიდამ მოდიოდენ არა თუ მარტო მამაკაცები, ქალებიც და მამულის სახსნელათ სიკვდილის სურვეილს აცხადებდენ.

აესტრიიელებმა გარიბალდის წინააღმდეგ გენერალი ურბანი გამოვზავნეს ურიცხვი ჯარით. თოთხმეტი საათი ებრძოდენ გარიბალდიელები მტერს და ორჯერ აბრუნებიეს პირი; საშინლათ დააშარეს და წინ თხებიერთ დაირეკეს. ბრძოლის წინა დღეს ურბანი დარწმუნებული იყო, რომ გარიბალდის დამარცხებდა. როდესაც თეითან დაძარცხდა, საშინლათ გაბრაზდა და მაღვე მეორეთ შეებრძოლა გარიბალდის. გარიბალდიმ მეორეთ უარესი დღე დააყენა. ასეც უნდა მომხდარიყო:

აესტრიის ჯარს ამოქმედებდა უფროსების ბრძანება, ისინი უმიზნოთ იბრძოდენ. გარიბალდიელებს კი აბრძოლებდა მამულის ტანჯვა-წვალება და მისი განუსაზღვრელი სიყვარული; მათი მიზანი იყო მამულის განთავისუფლება. ან უნდა მომკვდარიყენ, ან უნდა გაემარჯვათ და ამიტომაც საკუირველი არ არის, თუ უფრო თავგინწირული იბრძოდენ, ეიღრე მტერი.

გარიბალდიმ წაართვა მტერს რამოდენიმე ქალაქი; ჩრდილო იტალიაში სრულიათ დამარცხა და გამოსწია შუა იტალიაში, რომ აქ მოემზადებია ხალხი ასაჯანყებლათ და ჯარიც შეეგროვებია. ყოველ ქალაქში, ყოველ სოფელში ხალხი აღტაცებითა და

„გაუმარჯოს მამულს, გაუმარჯოს გარიბალდის!“ ძალილით ეგებებოდა. მის დანახეაზედ ყევლას სიხარული და წეტარება ეფინებოდა. ერთი ქალაქის მცხოვრებლებშიმა მისი ეტლიდამ ცხენები გამოხსნეს, შეებაშიგ რამოდენიმე ყმაწეილი კაცი და ისე დაატარეს ქალაქში. ერთმანერთს ეცილებოდენ, არა მე უნდა შეევება შიგ და არა მეო. გარიბალდის არ უყვარდა ასე უზომო პატივისცემა, მაგრამ წეტარებით დამთვარალ ხალხს რაღა შეაჩერებდა!

ავსტრიელებთან ომი გათავდა. ვიქტორ ემანუილსა და ავსტრიას შორის მშეიღობიანობა ჩამოვარდა. ავსტრიამ ვიქტორ ემანუილს ლომბარდია დაუთმო. დახმარებისათვის ნაპოლეონმა საეოია და ჩიკ-ცა მიიღო. ნიცა ის ქალაქი იყო, სადაც გარიბალდი დაიბადა; აქ გაატარა მან თვასი სიყვაწეილის საუკეთესო ხანა, აქ იგრძნო პირეველათ მამულისაღმი სიყვარული და აქეე გადასწყვიტა მისთვის თავის შეწირვა; ამიტომ სამშობლო ქალაქი უზომოთ უყვარდა. როდესაც გაიგო, კავურმა ნიცა საფრანგეთს დაუთმოვო, სასოწარკვეთილებისაგან თავბრუ დაეხვია, გონება დაეფანტა. მოიჭრა პარლამენტში, წარმოსთვევა მეტათ მგრძნობიარე სიტყვა, აღარავისათვის დაუმალავს რამე. კავურს მამულის შოღალატე, მამულის გამყიდველი უწოდა:

— იმ დროს, როცა ამდენი ხანი დაქსაქსული იტალიის შეერთებისათვის ვიღწვი, მამულის მოღა-

ლატე, იუდა, ჩემს სამშობლო ქალაქს სხვას აძლევსო.

კაცური წამოდგა ზეზედ და ერცელი სიტყვა წარ-  
მოსთქვა, რომელშიდაც თავი გაიმართლა. და მართ-  
ლაც მაპულის მოღალატეობით არ მოქცეულა ასე  
კაცური: ის ხედავდა, რომ ნაპოლეონის დაუხმარებ-  
ლათ აესტრიას ვერ დაამარცხებდა; ნაპოლეონი კი  
მხოლოთ მაშინ დაეხმარებოდა, თუ საეოიასა და  
ნიცას მიცემდენ. თუმცა კაცურისათვის ეს ძალიან  
სამწუხარო იყო, მაგრამ მეტი გზა აღარ იყო და მთე-  
ლი მაპულის დალუპვას იავვ ნიცას დაკარგვა ამჯო-  
ბინა. მიუხედავათ ამისა გარიბალდის ნალელით საესე  
სიტყვები, მისი მწუხარე სახე და ცრემლიანი თვალე-  
ბი კაცურს ღრმათ ჩაებეჭდა გულში; გარიბალდის  
წინაშე ის თავის თავს დამნაშავეთ გრძნობდა და ამ  
შემთხვევას უკანასკნელ წუთამდე ყოველთვის მწუ-  
ხარებით მოიგონებდა ხოლმე.

◆ გულგატეხილი გარიბალდი კაპრერის კუნძული.  
ზედ დაბრუნდა. აქ მას ედგა სამ-თვალი ოდა; ერთ-  
ში თვითონ იდგა, მეორეში ორი მისი მეგობარი,  
რომლებიც მასთან ცხოვრებდენ და მესამე სტუმ-  
რებისათვის იყო დატოვებული. ოთახი გარიბალდის  
ღარიბულათ ჰქონდა მოწყობილი, ფუფუნება არ უყ-  
ვარდა; მხოლოთ ვარდებსა და ყვავილებს მის ოთახ-  
ში ბევრს ნახავდით, რაღანაც გარიბალდის ძალიან  
უყვარდა. ლოგინის თავთან დედის სურათი ეკიდა,  
რომელსაც გარიბალდი ყველას დიდის ალტაცებით  
აჩერენებდა და აღელვებულის ხმით ეტყოდა:

— აი დედი ჩემის სურათიო.

მთელ დღეს გარიბალდი მუშაობაში და წიგნების კითხვაში აღამებდა. სახლსა და ეზოს ქვის გალავანი თვითან შემოაელო; თავის ხელით გააშენა ბალი, დარგო მრავალი ხეხილი, დათესა მწვანილეულობა, საზამთრო, კიტრი, ნესვი. გააშენა ვენახი და სტუმრებს თავის მიერ დაწურული ლეინით უმასპინძლდებოდა. მისი ჩეცულებრივი საჭმელი ბოსტნეულობა, ყველი და თევზი იყო; ხორცის კი ძეირათ ჭამდა ხოლმე, რადგანაც ჰირუტყვი ებრალებოდა. ასე მყუდროთ ცხოვრებდა გარიბალდი მცირე ხანს, სანამ სიცილიაში აჯანყება არ მოხდა. თავისუფლების შვილმა მყისვე დაანება თავის კუნძულს თავი, გამოსწია იტალიაში და დაუწყო ჯარს გროვება.

მალე ათასამდე კაცი მოაგროვა და სიცილიისაკენ გასწია ორი გემით. მთელი გზა ნეაპოლიტანის სამხედრო გემებით იყო მოფენილი, მაგრამ გარიბალდიმ ისე აუხერია მტერს თვალები, რომ სიცილიის ნაპირს მშეიღობიანათ მიაღწია. აქედამ თავის ჯარით ქალაქ პალერმოს მიაშურა. გზაზე დაუხედა ხუთი ათასი კაცით ნეაპოლიტანის გენერალი, ლანდი. ატყდა საშინელი ბრძოლა, მაგრამ გარიბალდის ნიჭი. მა და გმირობამ აქაც დააჩარცხა მტერი. ეხლა პალერმომდის გზა გახსნილი იყო, მაგრამ იქ დაბანაკებული იყო თხუთმეტი ათასი კაცით გენერალი ბოსკა. ამხელა ჯართან შებრძოლება საფრთხილო იყო,

შაგრამ გარიბალდიმ ისეთი მახე დაუგო ბოსკოს, რომ  
შიგ გააძა და დაამარცხა.

გარიბალდიმ მოინდოშა მტრის ქალაქიდამ გა-  
მოტყუება და შემდეგ ქალაქის აღება. ამ მიზნით ის  
დაბანაკდა პალერმოს მახლობლათ და ბრძოლისათ-  
ვის მზადება დაიწყო. ბოსკომ ჯარის მცირეოდენი  
ნაწილი ქალაქში დატოვა, დანარჩენით კი გარიბალ-  
დისთან საბრძოლველათ გამოვიდა. დაჭრილ ლო-  
მებსავით დაეტაკა ერთმანერთს ორივე მტერი. ბრძო-  
ლა მზის ჩასვლამდე გაგრძელდა, გარიბალდიელების  
სიმამაცეს მტრის ჯარმა ველარ გაუძლო და უკან და-  
ხევა იწყო. გარიბალდიც ამას ელოდა. მყისე გაყო  
თავისი ჯარი ორ ნაწილათ; ერთი წილი იქ და-  
ტოვა და დაარიგა, პატარა ხანს ბრძოლა განაგრძეთ,  
შემდეგ დაიხიეთ უკან; ბოსკო გულს მოიცემს და  
დაგელევნებათო. მეორე წილს კი თეითან წაუძლვა  
წინ და სრულიათ სხვა გზით პალერმოსაკენ გასწია.  
ბოსკომ ვერაფერი გაიგო, რადგანაც ლამე იყო. და-  
რჩენილმა გარიბალდიელებმა განახლეს ბრძოლა და  
ერთბაშათ უკან დაიხიეს. გამხნევებული ბოსკო უკან  
მიჰყეა დარწმუნებული, რომ ეხლა კი დაამარცხებდა.  
გარიბალდიელებსაც ეს უნდოდა: სულ უკან და უკან  
იწევდენ და ბოსკო კარგა შორის გაიტყოეს. ჯარის  
მეორე ნაწილი გარიბალდის წინამძღვალობით მიუ-  
ახლოვდა ქალაქს და „იტალიას გაუმარჯოს“ ძახი-  
ლით შიგ შევარდა. ქალაქში დატოვებულმა მტრის  
მცირეოდენმა ჯარმა წინააღმდეგობის გაწევა დაპი-

რა, მაგრამ ველარას გახდა. ქალაქის მცხოვრებლებმაც გული მოიცეს, გამოცვინდნენ ვინ თოფით, ვინ კეტით და, ვინც გარიბალდიელებს გადუჩჩა, იმათი მსხვერპლი გახდა. ამის შემდეგ მტერს გარიბალდისთან შებრძოლება აღარ გაუზეღნია. ამგვარათ გარიბალდიმ ათასი კაცით მტრის ასი ათასი კაცი დაამარცხა და მთელი სიცილია დაიპყრო.

გარიბალდის ასეთმა გასაოცარმა მოქმედებამ მთელი ევროპა აალაპარაკა. ყოველი კუთხიდამ მოდიოდა თუ ფული, თუ ხალხი გარიბალდის მისაშევლებლათ. მრავალი საუკეთესო ევროპიელი სტოვებდა ოჯახს, საცხოვრებელს, სიმღიდრეს, სამსახურს და გარიბალდისთან მოდიოდა, რომ იტალიის თავისუფლების გვირგვინი თავისი პატიოსანი სისხლითაც მოერწყო.

ამგვარათ გარიბალდიმ თავისი მამული უცხოტომის შეილებსაც ჭი შეაყვარა და მის დასახსნელათ აამხედრა. აქედამ ადეილი წარმოსადგენია, თუ რა გავლენა უნდა ჰქონოდა მას თავის თანამემამულეებზედ. მალე გარიბალდის დროშის ქვეშ ჩერდმეტი ათას კაცმდე მოიყარეს თავი. გარიბალდიმ სიცილიაში დანიშნა. შმართველობა და ახლა რომისა და ნეაპოლის დაპყრობა განიზრახა. მისმა ამგვარმა სწრაფმა მოქმედებამ ვიქტორ-ემანუილი შეაშინა, ეაი თუ საფრანგეთის მეფე, რომელიც რომის პაპის დიდი მფარველი და მოსარჩელე იყო, გადამემტეროს და ამით მამულის განთავისუფლების საქმეს ზიანი მიეცესო.

კაეურიც ამავე აზრის იყო; თუმცა გარიბალდის სულითა და გულით თანაუგრძნობდა, მაგრამ ამავე დროს ფრთხილობდა და ეშინოდა, ვაი თუ სიჩქარით საქმე წავაგოთო. მისის ჩავონებით ვიქტორ ეპანუ-ილმა გარიბალდის წერილი მოწერა, რომელშიაც ურჩევდა, მოქმედება შეწყვიტეო. მმართველობის ამ გვარმა მოქმედებაც გარიბალდი ძალიან გაახელა; გადაწყვიტა მარტო თეოთონ დაებოლოებინა საქმე და მეფეს უპასუხა:

— „მეფეო! მგონია, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ თქვენდამი პატივისცემითა და ერთგულებითა ვარ გამსჭეალული, მაგრამ მამულის ეხლანდელი მდგრადი ნებას არ მაძლევს, თქვენ ბრძანებას დაემორჩილო. მე მიხმობდა იტალიის ერის ხმა, მაგრამ, სანამ შესაძლო იყო, ვიცდიდი. ახლა შუა გზაზედ შეჩერაბა ჩემი წმიდა მოეალეობისა და მამულის განთავისუფლების ღალატი იქნება. ამიტომ, მეფეო, ნება მიბოძეთ, არ დაგემორჩილოთ. რა წამსაც ჩემს მოწოდებას შევასრულებ: იტალიის განთავისუფლებას დავაგვირგვინებ, მყრსე ჩემს მახეილს ჩავაგებ და სულის უკანასკნელ აღმოფენები თქვენი მორჩილი ეიქნება“.

ჯუზეპე გარიბალდი.

ამის შემდეგ გარიბალდი სიცილიიდამ იტალიაში გადეიდა და პირდაპირ ნეაპოლისაკენ გასწია. გზაზედ რამოდენიმე ქალაქი აღლო. ნეაპოლში მას ყვე-

ლა მოუთმენლათ ელოდა. ნეაპოლიტანის მეფეს  
უნდოდა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ, რა საქმეს  
დატყო, ჯარის მტრიც ნაწილი ქალაქში დატოვა,  
სამოცდათი ათასი კაცით და ცხენოსანი ჯარით  
ქალაქიდამ გამოეიდა, და ვოლტურნოს ნაპირს გა-  
მავრდა. აქ განიზრახა მან, გარიბალდის შებრძოლე-  
ბოდა. და თავის გვირგვინის ბედ-ილბალი გარდაე-  
წყვიტა. გვარიმბალდიმ თავისი ჯარი ქალაქის მახლობ-  
ლათ დატოვა, რამოდენიმე კაცით ჩაჯდა მატარე-  
ბელში და ნეაპოლში მიეიდა. სადგური ისე იყო გა-  
ტენილი ხალხით, რომ ნემსი არსად ჩაეტეოდა. გა-  
რიბალდის დანახვაზედ ალტაცებულმა ხალხმა ისეთი  
უეირილი ასტეხა, რომ ასე გეგონებოდათ, ცა და  
დედამიწა ერთმანერთს დაეჯახაო.

გარიბალდი ჩაჯდა ეტლში და გასწია სასახლი-  
საკენ, მთელმა ქალაქმა იქ მოიყარა თავი. გარიბალ-  
დი რამოდენჯერმე გამოიწეოს გარეთ. გარიბალდიც  
ბალკონზედ გამოდიოდა და უეელას მამა-შეილურ  
დარიგებას აძლევდა. ბოლოს კაცი გამოგზავნა, და-  
ლალული ვარ და, თუ შეიძლება, ცოტა დამაცალე-  
თო. მყისვე უეელამ ხმა გაქმინდა. იქ მდგომმა ხალხ-  
მა ეს აშბაეი სხეებს შეატყობინა და მალე მთელ ქა-  
ლაქში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბუზის ფრე-  
ნას გაიგონებდა ადამიანი. თუ ვინმე ხმა მაღლა და-  
ილაპარაკებდა, მაშინვე მიაძახებდენ: ჩუმათ, იმას ძი-  
შაესო.

გარიბალდიმ დაათვალიერა ქალაქი, უეელა მო-

ჩელე თავთავის ალაგას დატოვა, პოლიტიკური დამ-  
ნაშავენი საპურობილეებიდამ გაანთავისულია. მაგრა უკი-  
ობლებს დახმარება აღმოუჩინა... ნება არ ის მჩედ  
ახალთაობა გარიბალდის ჯარში არ იყო. უკი-  
უშიანებს გარიბალდის ჯარში ცოდნა ნადირობის უმც-  
ტესი მათვანი ოცი წლისაც არ იყო. მაგრა უკი-  
ჭირების დროს უველაზედ მეტ სივარუსებრი და გვა-  
ლადობას ესენი გამოიჩენდენ ხოლმე. თუ უკი-  
ში კაცით გარიბალდი შეებრძოლა მტერს უოლტურ-  
ნოს ნაპირზედ. ბრძოლამ მთელი თოთხმეტი სათა-  
გასტანა.

უძლეველმა გარიბალდიმ აქაც გაიმარჯვა და  
ამგვარათ ნეაპოლის სამეფო გვარეულობას ბოლო  
მოულო. გარიბალდიმ მთელი ნეაპოლის სამეფო და-  
იპურო და იტალია თითქმის გაერთა, მარლოთ რო-  
მი და უენეცია დარჩა. ნოემბერში ნეაპოლს მობრძან-  
და გაერთიანებული იტალიის მეფე, ვიქტორ-ემანუი-  
ლი. სასახლეში, საღაც მთელი მმართველობა თავ-  
მოყრილი იყო, გარიბალდი წარსდგა მეფის წინაშე და  
მოახსენა:

— ნეაპოლიტანის სამეფოს დაპურობის დროს  
სურვილისამებრ ჩემისა ემოქმედებდი. დღეს, როდე-  
საც ამხელა ალაგი დაეიპყარი და იტალიის გაერთია-  
ნების საქმე თითქის დაეაბოლოვე, გარდოგცემთ  
თქვენ ნეაპოლიტანის სამეფოს; ასეთივეა მცხოვრებ-  
ლების სურვილი. დღეიდამ თქვენ ბრძანდებით ამ  
სამეფოს პატრონი, მე კი უოველგვარ უფლებებზედ

ხელს ეიღებ“. მეფეს უნდოდა, გარიბალდი ჩვეულებ-  
რიების საჩუქრებით დაეჯილდოვებია: აძლია მას მარშ-  
ლობა, ერთ-ერთი სასახლე საცხოვრებლათ, დიდი  
შემოსავლიანი ადგილები, მაგრამ გარიბალდიმ ყოვე-  
ლისფერზედ უარი განაცხადა, რადგანაც ის ერთის  
მხრივ მეტის მეტი უანგარო იყო და მეორეს მხრივ  
სამშობლოს სამსახურს ზნეობრივ მოვალეობათ თველი-  
და და განა ამაში ჯილდოს მიიღებდა. მეორე დღეს  
გარიბალდი ადგა ადრე, გამოეთხოვა თავის ჯარის-  
კაცებს, იყიდა ლობიო, ჩაჯდა გემში რამოდენიმე  
მეგობრებით და კაპრერას დაბრუნდა. ამგვარათ „გმი-  
რი, რომელმაც თავის მეფეს მთელი ნახევარი სამე-  
ფო დაუპყრო, ერთი პარკი ლობიოზი დაბრუნდა  
შინ“.

V

რამოდენიმე ხანს გარიბალდი მყუდროთ ცხოვ-  
რებდა თავის განცალკევებულ კუნძულზედ, მაგრამ  
გულმა ველარ მოუთმინა, მოინდომა იტალიის გა-  
ერთიანების სწრაფათ დაბოლოება და რომის დაპ-  
ყრობა, მაგრამ, რადგანაც ნაპოლეონი დიდი მფარ-  
ელი იყო პაპის და რომში იმ დროს საფრანგეთის  
ჯარი იდგა, მთავრობას შეეშინდა, ეამ თუ რომის  
აღებამ საფრანგეთს დაგეატაკოსო, და ამიტომ გარი-  
ბალდის ხელი შეუშალა.

1865 წელს იტალიამა და პრუსიამ აესტრიის

წინააღმდეგ კავშირი შეკრეს და 1866 წელს ომი გა-  
მოუკრადეს. გარიბალდი ჯარის უფროსათ მოიწვიეს.  
მან ყველგან გაიმარჯვა. მტერი საშინლათ დამარც-  
ხა და ვენეცია დაიპყრო. დარჩა რომი, მაგრამ მთავ-  
რობამ კიდევ ხელი შეუშალა გარიბალდის; რადგანაც  
გარიბალდი თავისას აღარ იშლიდა და რომზედ გა-  
ლაშქრებას აპირებდა თავის გარიბალდიებით,  
მთავრობამ შეიპყრო და კაპრერას კუნძულზედ ძა-  
ლათი გაგზავნა. გარიბალდი აქ ცხოვრებლია სამოც-  
და-ათ წლამდე. დილაზედ ადრე დგებოდა, მუშაობ-  
და, თავის დღიურს, ლექსებსა და რომანებს წერდა.  
როდესაც საფრანგეთსა და გერმანიას შუა ომი ატყ-  
და, ფრანგები დამარცხდენ და გერმანიის ჯარი პა-  
რიქს გარს შემოერტყა, გარიბალდიმ დაანება თავი  
კაპრერას და საფრანგეთში გასწია, რომ ტანჯულ  
ფრანგებს მიშეელებოდა. მეგობრები ურჩევდენ, ისარ-  
გებლე საფრანგეთის გაჭირვებული მდგომარეობით,  
ნიცაც დაიბრუნე და რომიც აიღო, მაგრამ გარი-  
ბალდი არ იყო ისეთი კაცი, რომ სხვისი უბედურე-  
ბა თავის სასარგებლოთ მოეხმარა. მის გულში ვერა-  
ეის მტრობა და შური ვერ ჰპოვებდა ალაგს; მას  
უველა გაჭირვებული ებრალებოდა, თუნდა მტერი  
უოფილიყო, თუნდა მოყვარე. სამშობლოს მტერიც  
რომ გაჭირვებაში ენახა, ყოველისფერს დაიგიწყებდა,  
მიუტევებდა და მიეშველებოდა. აი ეხლაც, თუმცა  
საფრანგეთის მაღლიერი არ ყოფილა, რადგანაც მი-

სი წყალობით სამშობლო ქალაქი დაკარგა და რომი შემოუერთებელი დარჩა, მაგრამ, რა საფრანგეთის თავისუფლება გაჭირვებულ მდგომარეობაში დაინახა, მყისვე მისაშველებლათ გასწია, რადგანაც ის თავისუფლებას ყოველისფერზედ მაღლა აყენებდა და მზათ იყო, ყველას დამოუკიდებლობა დაეცვა.

უნდა აღვიაროთ, რომ საფრანგეთის მთავრობა გარიბალდის რიგიანათ ვერ დაუხვდა და ამისთანა პირის დახმარებით ვერ ისარგებლა. მიანდევს მას ჯარის მცირეოდენი ნაწილი, მაგრამ გარიბალდიმ აქაც დაამტკიცა თავისი სამხედრო ნიჭი, გამჭრიახობა და წინდახედულობა. რამოდენიმე ალაგას დაამარცხა მტერი და ქალაქები წართვა. საფრანგეთის გამოჩენილი მწერლის, ვიქტორ ჰიუგოს სიტყვით, ამ ომში გარიბალდი ერთათ ერთი გენერალი იყო, რომელიც მტერმა ვერ სძლია. საფრანგეთისაგან გულნატკენი გარიბალდი იტალიაში დაბრუნდა, საღაც რამოდენიმე თვის შემდევ რომი შემოიერთეს. როდესაც დეპუტატათ ამორჩეული გარიბალდი რომში მიეიღა, ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ეტლიდამ ცხენები გამოხსნეს, შეებენ შიგ და ისე წაიყვანეს ფავისი სახელო გმირი და მხსნელი. მთელი რომი ისეთის აღტაცებით დაუხვდა გარიბალდის, რომ მეფე გულნაწყენი ამბობდა: — „სულ გარიბალდი და გარიბალდი! მე კი რაღა დავაშავეო?“

ამდენშა შრომაშ, ტანჯვა-წევალებაშ და გულის-  
ძეერაშ გარიბალდი დაბერა, დაასწეულა. ყველა-  
ატყობდა, რომ მამულის საარაკო გმირი და სასიქა-  
დულო შეილი დიდხანს ვეღარ იცოცხლებდა. 1882  
წელს 22 თიბათეეს იტალიას გლოვისზარათ მოედეა-  
გარიბალდის გარდაცვალების სამწუხარო ამბავი. იტა-  
ლიის ყველა ქალაქებმა კუნძულ კაპრერაზედ, სადაც  
გარიბალდი გარდაიცვალა, თავისი წარმომადგენლები  
გაგზავნეს. ურიცხვი ხალხი მოატყდა კუნძულს-  
არამც თუ იტალიიდამ, არამედ მთელი ევროპიდამ. ყვე-  
ლას უხედებოდა მენოტტი გარიბალდი და მიყავდა  
მამის ოთახში, სადაც რკინის ლოგინზედ დასვენებუ-  
ლი იყო საუკეთესო მამულის შეილის პატიოსანი  
გვამი. მისი ამდენი ტანჯვის შემდეგ მიძინებული სა-  
ხე მისგან განთავისუფლებულ და აღდგენილ იტა-  
ლიას მიჩერებოდა.

შემოსილი იყო ჩეეულებრივის წითელი ხალა-  
თით, თავზედ ეხურა რგვალი ქუდი, რომლისთანას-  
საქართველოშიც ატარებდენ და „გალიბარდის ქუდს“  
უძახდენ. იტალიის ყველა ქალაქები, დაბები და სოფ-  
ლები შავით იყო შემოსილი. პალატაშ და სენატ-  
ში ორი თეით შავი ჩაიცვა და რვე დღით სხდომა-  
შეწყვიტა. გარიბალდის გვამი დაკრძალეს და კაპრე-  
რას კუნძულზედ დაასაფლავეს.

დიდხანს იგლოვა ხალხმა თავისი გმირი, რომე-  
ლიც მის თეალში ზეცით მოგზავნილ პირათ გარ-  
დაიქცა. ეხლაც აესტრიის გლეხვაცხას ის წითელ

ეშმაკათა ყავს წარმოდგენილი, რომელმაც სული ეშმაკებს მიყიდა და ამიტომ ვერავითარი ტყვია ვერ ეკარება. იტალიელების თვალში კი ის მიხეილ მთა-ვარ ანგელოზია. უოველი გლეხის სახლში მისი სუ-რათი ხატებთან არის დასვენებული და, როცა იტა-ლიელი გლეხი შორს საღმე მიდის, მის პატარა სუ-რათს ღვთისმშობლის ხატთან ერთათ გულზედ იკი-დებს.

მართლაც რომ ღვთიური დიდების ლირსია ის პირი, რომელმაც სიბავშეიდამვე მთელი თავისი არ-სება არამც თუ მარტო თავის ტანჯულ მამულს, არამედ ყველ უშედურსა და დაჩაგრულს შეწირა. ის მართლაც ხორუმებსამული სიყვარული და ნუგეში იყო ყველა და ულისათვის. რამდენი გაჭირება არ გამოიარა, კამ განგებამ ყველგან გადაარჩინა თითქოს იმისთვის, რომ მისი სიცოცხლე ყველასა-თვის ძეირფასი იყო. ამეს იშონიდა, სულ გა-ჭირებულს ურიგებდა, თვითონ კი ხშირათ მშიერი დადიოდა. დღეს იტალია ერთ განათლებულს, ბედნი-ერსა და დღე-კეთილ სახელმწიფოს წარმოადგენს გა-რიბალდის წყალობით. ამისთანა პირით მარტო მა-მულს კი არა მთელ კაცობრიობას მოაქვს თავი. ის ეხლა მარტო იტალიის შეილი კი არ არის, არამედ მთელი ქვეყნიერებისაა, და, სანამ უკანასკნელი ადამია-ნი სამარადისოთ თვალს არ დახუჭავს ჩეენს ბედკ-რულ დედამიწაზედ, მისი სახელი და დიდება ფერ-უვალი იქნება.